საქართველო
ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო
5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აღმაშენებლის ქ. №1
0(417) 22-01-28.

Georgia
Chkhorotsku
Municipality
Council
5000 Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
0(417) 22-01-28.

განკარგულება №17

2024 წლის 2 სექტემბერი
ქ. ჩხოროწყუ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №27/08/02 განკარგულების შესაბამისად 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.
2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
4. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.
5. მიეცეს თანხმობა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საფუძველზე:

ა) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და გამოსცეს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები;

ბ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (№69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) უსასყიდლო უზუფრუქტის

ფორმით, აუქციონის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიას;

ბ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
7. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიას.
8. დაევალოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.
9. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩხოროწყუს რაიონულ სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.
10. ეს განკარგულება:

    ა) გადაეგზავნოს №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;

    ბ) გამოიკრას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: www.chkhorotsku.gov.ge.
11. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებზე.
12. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) გამართვის მიზნით გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა

1. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სააქტო დარბაზი, **მისამართი: ქ. ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №2.**
2. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დარბაზი, **მისამართი: ქ. ჩხოროწყუ, ჭავჭავაძის ქ. №3.**

დანართი N2

საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის) დაკავშირებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ნუსხა

ოლქის ნომერი	ოლქის დასახელება	უბნის ნომერი	უბნის დასახელება	უბნის ადგილმდებარეობა	უბნის მისამართი	შენიშვნა
69	ჩხოროწყუ	1	ქ. ჩხოროწყუს	საქალაქო ბიბლიოთეკა	ქ.ჩხოროწყუ გობეჩიას ქ.N2	
69	ჩხოროწყუ	2	ქ. ჩხოროწყუს	ჩხოროწყუს N1საბავშვო ბაღი	ქ. ჩხოროწყუ ი.ჭავჭავაძის ქ.N4	
69	ჩხოროწყუ	3	ახუთის	ახუთის კულტურის სახლი	ს. ახუთის 1-ლი ქ.N4	
69	ჩხოროწყუ	4	ზუმის	ზუმის საბავშვო ბაღი	ს.ზუმის მე-4 ქ.N8	
69	ჩხოროწყუ	5	თაიას	თაიას საბავშვო ბაღი	ს.თაიას მე-6 ქ. N1	
69	ჩხოროწყუ	6	კირცხის	კირცხის N1 საბავშვო ბაღი	ს. კირცხის 22-ე ქ.N13	
69	ჩხოროწყუ	7	ლესიჭინეს	ლესიჭინეს მეორე საჯარო სკოლა	ს. ლესიჭინეს 35-ე ქ. N31	
69	ჩხოროწყუ	8	ლესიჭინეს	ლესიჭინეს პირველი საჯარო სკოლა	ს. ლესიჭინეს 1-ლი ქ. N1	
69	ჩხოროწყუ	9	ლეწურწუმეს	ლეწურწუმეს საბავშვო ბაღი	ალ.პერტაიას ქ.N5	
69	ჩხოროწყუ	10	მუხურის	მუხურის საჯარო სკოლა	ს.მუხურის მე-17 ქ.N12	
69	ჩხოროწყუ	11	ნაკიანის	ნაკიანის საბავშვო ბაღი	ს. ნაკიანის მე-5 ქ.N1	
69	ჩხოროწყუ	12	ნაფიჩხოვოს	ნაფიჩხოვოს საბავშვო ბაღი	ს. ნაფიჩხოვოს 1-ლი ქ.N30	
69	ჩხოროწყუ	13	ქვედაჩხოროწყუს	ქვედაჩხოროწყუს საბავშვო ბაღი	ს.ქვედაჩხოროწყუს მე-15 ქ.N2	
69	ჩხოროწყუ	14	ჭოღის	ჭოღის საჯარო სკოლა	ს.ჭოღის მე-16 ქ. N1	
69	ჩხოროწყუ	15	ხაბუმეს	ხაბუმის კულტურის სახლი	ს.ხაბუმე 37-ე ქ. N8	
69	ჩხოროწყუ	16	ხაბუმეს	ხაბუმის N4 საბავშვო ბაღი	ს.ხაბუმის 1-ლი ქ.#77	